

# სამშაბათი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე წუმერი ერთი შაურაი. **დაბა-ტაბიტი 7 მ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. წელიწადში მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. პირველ გვერდზე პეტრით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.



## ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშაბათი დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილა, მირჩვენის ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშაბათოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, გადაიყვანა ლეჩხუმის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი

### თავადი იასონ დავითის ძე გელაგანი,

რასაც უდრისი მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნაცნობ-მეგობრებს: მეუღლე გნენა ივლითი შერაბის ასული და შვილები: ბაბო ხიჯარაძისა და თ დი შოთა გელაგანი მეუღლეებით. პანაშვილი უოველ დღე საღამოს ექვს საათზე. მიტაცებულად გამოსვენება საკუთარი სახლიდან (კათოლ. ქუჩა) საკათედრო ტაძარში შაბათს, 15 აგვისტოს, დილის 8 1/2 საათზე. წირვის და პანაშვილის შემდეგ მიტაცებული წასვენებული იქნება ლეჩხუმს, სოფ. ახალ-ჭაღას, სადაც დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს, დღით ოთხშაბათს. 3—3

ქუთაისში მყოფი ლეჩხუმის მაზრის მკვიდრი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლის

### თ-დ იასონ დავითის ძის გელაგანისას.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ახალქალაში 19 აგვისტოს, დღით ოთხშაბათს (კათოლიკეების ქუჩა). 3—3

გულ დათუთქული ასლან შერაბის ძე კვიციანი და ასულნი მისი გუგულა და ზინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას, პირველი სიმამრის და უკანასკნელნი ძვირფასი ბაბუის—ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლის

### თ-დის იასონ დავითის ძის გელაგანისას.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ახალქალაში ოთხშაბათს, 19 აგვისტოს. 3—3

მწუხარებით მოკული კნენა პაშა ახვლედიანისა ქმარ-შვილით და სიძეებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას საყვარელი ბიძის, ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის,

### თ-დის იასონ დავითის ძის გელაგანისას.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ახალქალაში ოთხშაბათს 19 აგვისტოს. 3—3

დამხარე საზოგადოება „შოვის“ სანატორიისა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გადაცვალებას თავის საპატიო წევრის

### თ-დის იასონ დავითის ძის გელაგანისას.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ახალქალაში ოთხშაბათს, 19 აგვისტოს. 3—3

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა დროს მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის წინამძღოლის

### თავადი იასონ დავითის ძის გელაგანის

გადაცვალებას. პანაშვილები უოველდღე საღამოს 6 საათ განსვენებულის ბინაზე. მიტაცებულია 15 აგვისტოს, დილის 8 1/2 საათზე გამოსვენებული იქნება საკათედრო ტაძარში, საიდანაც წირვა და პანაშვილის შემდეგ წასვენებულ ლეჩხუმს. დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს სოფ. ახალჭაღასში. 3—3

### ელექტრო „რადიოში“ თეატრი

ორშაბათს 17, 18 და 19 აგვისტოს ნაჩვენები იქნება:

### შპეიერის ოინები ოქროს ხელათ წოდებულ სონკას წინააღმდეგ.

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილათ პროლოგით.

### ანონსი: ამ დღებში ნაჩვენები იქნება მარია ლოსევა ექვს ნაწილათ.

ახლათ ჩამოსული რუსი ძალი მას-წავლემადი, ამჟამადს ფრანგულ და ნემიტურ მინეზო მოწაფეებს; სურს იმის-წავლემადოს ოჯახში.

მისამართი: თბილ. ქუჩა. ს. ოჯახზე. ბინა ჭკნეკელიძისა.

## ო შ ი

(პეტ. დებ. სააგენტოსაგან) კავკასიის ასპარეზი.

**თფილისი.** 14 აგვისტო. ოფიც. კავკასიის ჯარების შტაბისაგან. ზღვის ნაპირა რაიონში ჩვენი მშვერავები გადავიდნენ მდ. არხავეს და ხელსასროლი ყუმბარებით ამოსწყვიტეს ოსმალთა საყარაულო რაზმი. ჩვენმა მატორიანმა ნავმა და ნაღმონებმა ჩასძირეს ორი დატვირთული იალქნიანი გემი. ოლთისის გეზით სროლაა. დანარჩენ ფონტზე მდგომარეობა უცვლელია.

### შაგალეხი ბრძანება.

**შეტროგრაფი.** 13 აგვისტო. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც გაწვეული იქნებიან პირველი ხარისხის რატნიკები 1916 წლიდან დაწყებული 1898 წლამდე რუსეთის ყველა ოლქიდან და გუბერნიებიდან, გარდა კავკასიისა და შემდეგი გუბერნიების: ვარშავისა, კალიშისა, კელეცისა, ლომეისა, ლიუბლინისა, პეტრაკოვისა, პლოცისა, რადომისა, უვალისა და ხოლომისა; ოლქების: ამურისა, კომჩატისა; ზღვის ნაპირა ოლქისა და სახალინისა; კავკასიიდან გაწვეული იქნებიან რატნიკები, თანამათ სამხედრო სამინისტროს მიცემულ ცნობისა. გასაწვევ დროთ დანიშნულია 15 აგვისტო.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრაფი.** 14 აგვისტო. ოციციალური უმ. დლ. მთავარ სარდლის შტა

ბისაგან. რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. ბაუსკისა და ბირეის მიმართულებით ფრიდრიხშტადისკენ 12-სა და 13 აგვისტოს მტერმა ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ენერგიული იერიშები მოიტანა ბრძოლამ თანდათან ფართო ხასიათი მიიღო ტაურელკან-ნეიგუტის რკინის გზის სამხრეთ გზებზე. დინსკ-პონევიჩ რკინის გზის ჩრდილოეთით 13 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა შეიფაროვა გერმანელები. პონედელ-სკოპიშის ფრონტზე: ვილნოსკენ მიმართულ გზით 12 აგვისტოს არსებითი ცვლილება არ მომხდარა. შუა ნემანზე, ბობრისა და პრიპეტის სათავეებს შუა ფრონტზე ჩვენი ჯარის უკან დახვევა გქვლდება.

13 აგვისტოს გერმანელების შიერ მოტანილი თავგანწირული იერიშები ბელისტოკის რაიონში და მის ჩრდილოეთით ჩვენგან შეჩერებულ იქნა. აქ მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. შტაბის რაიონში, თანახმად მიცემული ბრძანებისა, ხიდები და სიმბარები აფეთქებულ იქნა. გალიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

14 აგვისტო. რიგის ყურეში ცვლილება არ მომხდარა. ბაუსკის აღმოსავლეთით გერმანელები მედგარ იერიშებს აწარმოებენ, მაგრამ ჩვენი ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევს. პონევერს რაიონში დიდი ბრძოლები არ მომხდარა.

აქ მხოლოდ თოფით სროლაა, მდ. ვილიის ორივე ნაპირზე მტერი განაგრძობს კერძო შეტაკებებს, მაგრამ ყველგან უკან იხვევს ჩვენი ჯარის წინააღმდეგობის წყალობით. დანარჩენ ფრონტზე და ნემანის მარცხენა ნაპირზე მტერი შეეცადა იერიშების მოტანას ზოგიერთ მიმართულებებისკენ, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა და თავის თხროლებისკენ დაიხია. ბელისტოკის მიმართულებით მტერი იკტივობას არ იჩენდა და კმაყოფილდებოდა მხოლოდ სროლით.



15 აგვისტო.

რიგის რაიონში კვლავ მდგომარეობა არ შეცვლილა. ფრიდრიხშტადტის მიმართულლებით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. აქ მტერი ცდილობს გაარღვიოს ჩვენი ჯარი კლესბურგ-მიტავას რაიონის გზისკენ. ვილნოსკენ მიმართულ გზებზე, ვილნის მარჯვენა ნაპირზე და ამ მდინარისა და ნემანის შუა 13—14 აგვისტოს მტერი მდგომარეობის აწარმოებდა. ყველა იერიში მტრისა შეჩერებულ იქნა ჩვენი ჯარის კონტრ-იერიშით. შუა ნემანზე, ბობრსა და პრიპეტს შუა ფრონტზე 13—14 აგვისტოს ჩვენი ჯარი განაგრძობდა უკან დახევას, აჩერებდა რა მტერს ბრძოლით. მტრის იერიშმა განსაკუთრებული ფართო ხისიათი მიიღო ბელასტოკის ჩრდილოეთ მიმართულებით და კობრონისკენ მიმართულ გზებზე. ბუგის მარჯვენა ნაპირზე, ვლადიმირ ვოლინსკის ფრონტიდან იერიშები მოიტანა ტორჩინზე. ლუცკის დასავლეთით, მდ. ლუვასა და ზორიციზე და აღნიშნულ ფრონტზე მწვევე ბრძოლა გაჩაღდა. ზემო ბუგზე, ზოლოტაია ლიპასა და დნესტრზე მტერი აგრეთვე ცდილობდა იერიშების მოტანას 14 აგვისტოს ღამე და შემდეგ 15 აგვისტოს დღის განმავლობაში განსაკუთრებით გაძლიერებული იერიში სწარმოებდა ბრეჟინისა და პოდგაიცის ჩრდილოეთით რაიონში. აქ მტერმა შესძლო ზოლოტაია ლიპას მარცხენა ნაპირზე გამაგრება.

16 აგვისტო. რიგის რაიონში ცვლილება არაა. ფრიდრიხშტადტის მიმართულლებით უკანასკნელ დღეებში მოხდა მდგომარეობის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია ამ ქალაქის დასავლეთით. იკობშტატისა და დვინსკის დასავლეთ მიმართულებით არსებითი ცვლილება არ მოხდა. ვილიის მარჯვენა ნაპირზე, ამ მდინარისა და ნემანს შუა თოთხმეტ და თუთხმეტ აგვისტოს მკაცრი ბრძოლა

გაგრძელდა. ბობრისა და პრიპეტის სათავეებს შუა ნემანამდე არსებითი ცვლილება არ მოხდა. 15 აგვისტოს ღამე და შემდეგი დღის განმავლობაში, აქ მხოლოდ არიერგადების ბრძოლა იყო, რადგანაც მტერი გაძლიერებული ძალით ცდილობდა გაეფართოებინა იერიშები ქალაქ ლუცკისკენ მიმართულ გზით და სტაროე როჟიცისკენ, რომლითაც უნდა დაეკავებინა მარჯვენა ფრთის გარშემორტყმა. გალიციაში მიღებული იყო ზომები ჯარის შეგუჯუფებისა, რომელიც სწარმოებდა 14—15 აგვისტოს ლუცკის ჩრდილო დასავლეთით მოხდა ბრძოლების დახმარებით.

**პეტროგრადი.** 14 აგვისტო. ოფიციალური. გენერალური შტაბის მთავარ სამართველოდან. ზოკიერთ დებეშაში ცნობა იყო ბერლინიდან, ვითომც ბრესტ-ლიტოვსკი გერმანელებს აეღოსთ. ეს ხმა სიმათლეს მოკლებულია. საქმის საერთო მდგომარეობის მიხედვით, რადგანაც უაზრობა იყო 100000 კაცის ჩამწყვევა ამ ციხეში, ამიტომ წინასწარ გადაწყვეტილი იყო ამ გარნიზონის გამოყვანა და უფრო ძვირფასი ქონების გამოტანა ამ ქალაქიდან, რაც შესრულებული იყო თავის დროს. ხოლო მდინარე ბუგის მარცხენა ნაპირზე მდებარე სიმაგრეებიდან განაგრძობდნენ წინააღმდეგობას, რათა საშუალება მიეცა ჯარისთვის, რომელიც ამ რაიონში მოქმედებდა, აღმოსავლეთისაკენ დაეწია. და როდესაც ყოველივე ეს სისრულეში მოვიყვანეთ, მაშინ, ბრძანებისამებრ, ხიდები და სიმაგრენი აფეთქებულ იქნან, ხოლო ციხის გარნიზონი შეურთდა სავლეთ ჯარს, როგორც ეს მოხსენებულია მთავარსარდლის დებეშაში.

რას უიაროვს ფილიანდია?

ფილიანდია რუსეთის იმპერიის ერთადერთი „ავტონომიური“ ნაწილია. მაგრამ ყველას კარგათ გვახსოვს, თუ როგორი

იერიში მიიტანა მის ავტონომიასზე რუსეთმა რეპტიის გამარჯვების დღიდან და ვინ იყო იმ დღეებში ამ ავტონომიის თავდადებული დამცველი!

დღეს, კი როცა „გერმანელთა შემოსევამ“ რუსეთი ძალზე ჩააფიქრა არა თუ ფილიანდიის ავტონომიის შელახვაზე ის-მის რამე, არამედ პოლონეთის ავტონომიასზედაც კი ბევს ლაპარაკობენ და „ალ-ტქმასაც“ იძლევიან...

„ფინები კი, იწერება გაზ. „დენის“ კორესპონდენტი, ჯერ-ჯერობით გაჩუმებული არიან, თუმცა იმედიცა აქვთ, რომ ფილიანდიაში წესიერი წყობილება ისტ. აღდგენილ იქნება“.

აქ ჩვენ ფინების იმედი იმდენათ არ გვიანტერესებს, რამდენათაც მათი სიჩუმე.

მართლაც ყოველმხრივ საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობს ფილიანდია იმ დროს, როცა, როგორც უკანასკნელი დღეების დებეშა გვაუწყებს, ფინის ყურეში გერმანელთა წყალქვეშა მავალი ნავი უკვე შეიჭრა.

სამაფიქრებელი და საზრუნავი საგანი გააღმასელებული მსოფლიო ომის გამო ფინებსაც ბევრი აქვთ.

არც ერთ წინა დროის ომს, ამბობს იგივე კორესპონდენტი, ფილიანდიის ეკონომიური მდგომარეობაზე იმდენათ გამანადგურებელი გავლენა არ მოუხდენია, როგორც ეს დღევანდელმა ომმა მოახდინა.

მართალია ფილიანდია ბრძოლის ველათ ჯერ კიდევ არ გადაქცეულა, რასაც პირველ დღეებში მოელოდნენ, და არც ზარბაზნები დაუშენიათ ჯერ მის სანაპიროებისათვის, მაგრამ ბალტიის ზღვაზე მიმოსვლის შეწყვეტამ ვაჭრობა სულ ერთნაათ მოსპო და ამ ვარემოებამ კიდევ თავის მხრივ გამანადგურებელი გავლენა იქონია ამ ქვეყნის მზრუნველობა—აღებ მიცემობაზე. აქედან გაჩნდა ყველაფრის წარმოუდგენელი სიძვირე.

ხე-ტყის წარმოება, რაც ფილიანდიის უმთავრეს სამრეწველო დარგს შეადგენდა, სულ ერთნაათ შეჩერდა; სახეობი ქარხნები ჩაჩუმებულია, ვადეშა ლინის ინგლისის გემებით ახლა ხე-ტყის მასალას ვეღარ დებულობენ. სხვა ქარხნებს კიდევ ექნებოდათ დაკვეთილი სახაზინო—სამხედრო საქმეები, რომ სათბობი მასალი საკმაოთ ემოგებოდნენ. საჩქარო აუცილებელ საქმეების შესასრულებლათ რაღაც ორ-სამ ვაგონ ქვანახშირს ძლივს შოულობენ დღეში!

ქალაქებში სახლების შენება თითქმის სულ შესწყდა: ძველი შენობების შეკეთებასაც კი დრომდე თავა დაანებეს. იქედან საშინლათ გაიზარდა „უმუშევრობა“. უმუშევართა რაზმები სოფლებისაკენ დაიძრნენ, ძველს მამაპაპეულ მიტოვებულ კარმიდამოს დაუბრუნდნენ, რომ უბინობასა და სიმშობის როგორმე თავი დააღწიონ.

ვინც სამუშაოზე დარჩა, ამათაც საკმაო ქირა არ ეძლევათ: საჭირო ნივთების ფასი გაცილებით მაღლა იწევს, ვიდრე სამუშაო ხელფასი.

სოფელსაც სიმშობილა მოეღოს; პური და ქერი ჯერ ისევ მოუმკელია და საკმაო ფილიანდიის ცა, რომელიც ახლა ნოსლით არის შეტურვილი, გადაიწმინდოს, რომ მაშინვე ყინვები დაიწყოს და მოსავალი სულ რამდენიმე საათში განადგურდეს.

მუშებსა და სოფლელებს გარდა უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნენ აგრეთვე წვრილი ვაჭრები და ხელოსნები, რომელთა მუშტრებიც იგივე ქალაქის მუშები და ღარიბები არიან.

ერთი სიტყვით, ომმა მოსპო ფილიანდიის საგარეო ვაჭრობა და ამ გარემოებამ შინაური ვაჭრობა-მრეწველობაც ერთნაათ გაანადგურა; დასცა აგრეთვე ამ ავტონომიური კუფის ფინანსიური მხარეც: რაღაც მანქანების ძალით რუსული მანათიანი იქ ექვს აბაზათ ღირს,

როა წინასწარი ისტორიული ცნობები, რომელიც გააშუქებენ და განმარტვენ ამა თუ იმ სალიტერატურო-იზღენას: ის კია, რომ პედაგოგები იტარო მეტს ყურადღებას აქცევენ მწიგნობის ნიმუშების შესწავლას ზოგჯერ ზეპირობის და ზოგჯერ მათი შინაარსის შეგნებულად შეთვისების საშუალებით. თქმა არ უნდა რომ ამ შესწავლის ეამს ვითვისებთ მრავალ სიტყვას და გამოთქმას, მრავალ გრამატიკულს მოვლენას და ამის შედეგებით მდიდრდება ჩვენი ლექსიკონი, და საგრამატიკო ცოდნა, რომელსაც ვხმარობთ შემდეგში საჭიროების ეამს... ქართულ ძველ მწერლობის ენა-შემუშავებული, მტკიცე, მკვეთრი უკვე დამთავრებული ენაა, რომელზედაც დაწერილი საერო შინაარსის ნაწარმოებნი ნათლად გვაცნობებენ ამ ენის საგრამატიკო ელფერსაც.

დაღე ხაჩი, როდესაც ჩვენი შვილებს ბისთვის ძველი ქართული მწერლობის შესწავლა ისეთი სავალდებულოა, როგორც ახლისა... მაგრამ ხომ ვიცით, რომ ძველი ახლის საძირკველია. ახალს ფესვები გადგებული აქვს წარსულში. და სწორედ ამ წარსულის და ამ ფესვების გაცნობაა საჭირო, თუ გვსურს, რომ ჩვენი ცოდნა ახლისა ლერწამისავით არ ირხეოდეს და მტკიცე იყოს.

ს ა მ უ რ ბ ლ ო ს.

გვ, სამშობლოვ, მომავლისთვის თავი ბევრჯერ გაგიწირავს, ბევრ მსხვერპლი, მსხვერპლი წმინდა, ღმერთებისთვის შეგვიწირავს... ეს გადღღლი მინდორ-ველი მჩქეფარ სისხლით მოგიღვრია; შეგიღებავს მტკვარი ფართო და რიონის წყალი ღვრია; ქირ-ვარამი დაგიომია,—დაგიომია ბევრი დევნა, რომ ამ ქუჩურ ბაღებიდან შენი მტრები გაგედევნა; მშრომელ, ტანჯულ გლეხისათვის მყუდრო ბინა მოგენახა; რომ ერი და დედა-ენა დაგეცვა და შეგენახა. დღესაც სწირავ ამ წმინდა მსხვერპლს მომავლისა დასაცველათ: ქართველთ კვენსა და კიენი დღესაც ისმის ბრძოლის ველათ: არა ერთხელ შუბ-მახვილზე თვისი გული დაახიეს, და უმანკო, სისხლი წმინდა მწვანე მდელოს დაანთხიეს. როს ეღირსოს ქართველთ დედა; თავის პირშოს არა გლოვდეს, და შავი დრო ამ შავ ძაძბს მის სამართ არა ქსოვდეს... როს იქნება შავი ნისლი ეურჩურ ბაღებს გადგეცალოს და გზა—გლოვით მოსილ ამწყოს-მომავლისთვის დაეცალოს. ღმერთო, ღმერთო! შენ წინ ვდგევიარ გვედრები, კაცთა მცველო, ზოროტისგან დაიხენი ჩემი ტურფასაქართველო.

ს. დიდი-ფისიაში.

კალინი.

ბიბლიოგრაფია

(კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატიკა. ჩვენი ძველი მწერლობა და ხაზური ჰოეზია. შედგენილი ს. რ. კარკაძის მიერ. თ. მთავარიშვილის და აშ. კამოცემა. ქუთაისი 1915 წ.) (ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ)

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ახალ მწერლობას ავად თუ კარგათ ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა ჩვენებურ სასწავლებლებში ეცნობება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ იწრო ჩარჩოების შიგნით, რომელთა შორის მისი სწავლება მიმდინარეობს. მაგრამ ქართული ძველი მწერლობა დაიხ მდიდარი შინაარსის და

ფაქიზი ენის მხრით, ჩვენს მოწაფეთათვის მიუწდომელია.

რამდენადმე ეს ვარემოება იმითიც აიხსნება, რომ საამისოდ აქამომდე არ მოგვეპოვებოდა ჩვენი ძველი მწერლობის კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატიკა. მართალია ცოტათ თუ ბევრად ხეირიანი სახელმძღვანელო ქართულ ძველი მწერლობის ისტორიისა, შედგენილი ალ. ხახანაშვილის მიერ ბოლო დროს ქართულად დაიბეჭდა, მაგრამ ასეთი სახელმძღვანელოს საშუალებით შეიძლება გავივალისწინოთ ქართული მწერლობის თანდათანობითი ზრდის, მისი დაცემის და კვლავ აღორძინების მსვლელობა, მაგრამ ასეთს გავალისწინებამ მშრალი თეორიული ხასიათი აქვს და შორს სდგას იმ საგანზე, რომელიც დასახული აქვს მწერლობის პრაქტიკულ შესწავლას...

ალ. ხახანაშვილის სახელმძღვანელოს შეეძლო მხოლოდ ქართულ მწერლობის შესწავლის ინტერესი რამდენადმე აღედგა მოწაფეთა შორის... მაგრამ ეს ინტერესი შორს სდგას მწერლობის პრაქტიკულად შესწავლაზე. საამისოდ საჭიროა დაკვირვებით შედგენილი კაზმულ სიტყვიერებითი კრებული, რომელშიც შეჩვევით უნდა იყოს მოყვანილი ქართულ ძველმწერლობის სამაგალითო ნიმუშები.

ნიმუშებს გარდა აუცილებელი საჭი



მაშინ როდესაც უცხოეთში იგი ოთხ აბაზათს ძლიერ ფასობს. ამ გარემოებამ, ფინლანდიის ფულის ბაზარზე რუსული ქალღმერთის ფული ბლომით „შეაქუჩა“ ახლა იქ ასეთი ფული 70 მილიონამდე ტრიანტებს თურმე; წინათ კი სულ რამდენიმე მილიონი თუ ითვლებოდა. ყველაფერი ეს და უფრო კი „შეღალბული ავტონომიის“ აღდგენა ძალზე აფიქრებს დღეს ფინლანდიას.

უფრო პოპულარული და გამოცდილებების მქონეა, თავისთავად იბადება კითხვა, თუ რაოდენ შეიქნა საჭირო ორი ერთისა და იმავე მიზნის მქონე საზოგადოების დაარსება ისეთ პატარა ერში, როგორც ჩვენა ვართ? რათ არ ამოუღვა „განათლება“ და „სინათლე“ წ. კ. საზოგადოებას გვერდით და მასთან ერთად შეერთებულის ძალით არ შეუღვა მოღვაწეობას? კითხვები, ვფიქრობ, რომ სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ამ ეპოქა დავენებოთ თავი ყველაფერ ამას და პირდაპირ გადავიდეთ ჩვენი წერილის საგანზე.

ახალმა კანონმა, კერძო ნაციონალურ სასწავლებლების დაარსების შესახებ, ჩვენი საზოგადოებაც ამოძრავა, შეუდგენ ეროვნული სასწავლებლის დაარსებაზე ფიქრს, საშუალებების გამოძახებასა და სხვა, პირველყოფისა, რასაკვირველია, კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებები შეიშმუშნენ, რასაც შედეგათ მოყვა საზოგადოების „განათლების“ დადგენილება ქალთა სასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ. გავიდა ცოტა ხანი და გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ წ. კ. საზოგადოების ცენტრალურმა განყოფილებამ დაადგინა თავის სკოლებში სწავლა ახალი კანონის თანახმად მოწყობა. კიდევ ცოტა ხანში და ვგებულობთ, რომ ქუთაისში დაარსდა განმანათლებელი საზოგადოება „სინათლე“, რომელსაც აგრეთვე დაუწყებულა, რომ ქუთაისშიც დაარსდეს დედათა საშუალო სასწავლებელი. პირველ ხანისთვის ყველაფერი ეს ერთობ საიმედოთ სჩანს და თუ, როგორც გვჩვენებოდა იმერლების არ იყოს დავრჩით ძველებურათ „ენა ბაქელანი და საქმე არაფელანა“, სავალალო იქნებოდა ჩვენთვის, ახლა კი ბაღში ახლათ გაფურჩქნულ ყვავილებს ვხედავთ და სიხარულის მეტი რაღა დაგვჩენია.

მაგრამ მოგვხსენებთ, რომ მოქალაქის ვალია არა სიცილი ან ტირილი რომელიმე ფაქტს წინა შე, არამედ მისი აწონ-დაწონვა და ობიექტიურად დათვალულია. ამ პერიოდის მწერლები: მოსე ხონელი, მისი ნაწარმოები: ამირან-დარეჯანიანი. საყურადღებო ნიმუშები, შეერთებული შინაარსის მოკლე გადმოცემასთან. საძველო სიტყვების ახსნა... ვასრამიანი ისეთივე გეგმით, როგორც ამირან-დარეჯანიანი აქვს. ამის შემდეგ ივანე შვებუაძე, ჩხარუხაძე და შოთა რუსთაველი. მათი ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშებით, რომელთაც თან ახლავს სიტყვების ახსნა განმარტება... და ასე მთელს წიგნში ბოლომდის. განსახილველათ და შესასწავლად დანიშნულია თორმეტი მწერალი... წიგნში მოთავსებულია ნიმუშები უმთავრესად ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა... სპარსულიდან ნათარგმნ ნაწარმოებთაგან შემდგენელს ყურიდღება მიუტყვევია ორ ნაწარმოებზე. — ვისრამიანსა და ქილ — დამიანზე. პირველი მათგანი საუკეთესო ნიმუშია მეორემეტე საუკუნის ქართულ კლასიკურ ულექსო პოეზიისა ისე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ უებრო ნიმუში მაშინდელ „გალექსილ პოეზიისა... წიგნივე არის მეტად საყურადღებო განყოფილება: „ხალხური პოეზია“. წიგნის ამ ნაწილში მასალას აქვს შემდეგი დამატებულობა. ლექსები და შარბები უძველესი საგალობლები და საოჯახო ლექსები, სატრფიალო ლექსები, სავაქაცო და

სება, კრიტიკულათ განხილვა და თავისი ადგილის მიჩენა. შევეხოთ ჩვენც „განათლების“ და „სინათლის“ უკანასკნელ გადაწყვეტილებას და შეძლებისადაგვარათ გავარჩიოთ მათი ღირებულობა, გამოვანახოთ მათში უარყოფითი და დადებითი მხარეები. **შ. ღრუბელიანი.** (შემდეგი იქნება).

**ს ი ტ ყ ვ ა**  
თქმული იასონ გელაგანის ცხედრის წინაშე, 13 აგვისტოს.

ამ შავ-უკუღმართ ღროში, როდესაც ახალ [გაზდა ქართველი იქ შორს, შორს მტრის იარაღით განგმირულნი, სისხლით დაკლილნი ბრძოლის ველზე იხიციან, მშობელთაგან დაუტირებულნი, ზოგჯერ დაუსაფლაველნი ყვავ-ყარისის საძიძნათ ველათა ჰყრიან, ხოლო აქ კი, შინ თქვენ რჩეულნი რომ სათითაოთ ნელნელა გვტოვებთ და ხელიდან გვეცლებით, ჩვენ რაღას გვეუბნებით? ან ვის გვიტოვებთ თქვენს მაგიერს?

ერთი სწავლული ამბობს: „ზოგნი დიდ კაცნი შთამომავლობით, ბუნებითაც არიან, დიდნი“. აი! შენზედ ითქმის ეს სწორეთ. შთამომავლობით დიდ-გვარიშვილს, ქუა-გონებით, ნიჭით და გარეგანი სიმშვენიერით ღვთისაგან უზვად დაჯილდოებულს, ყოველ ნაირი გარემოება ხელს გიწყობდა ბატონურათ და ფუფუნებით გეცხოვრა, მაგრამ შენ უარ ჰყავი ეს ორივე და მუდამ საღა და უბრალო იყავი და იი სწორეთ ამ უბრალოებაში იყო მთელი თქვენი „გრანდიოზული“ სიდიადე.

იშვიათი მოქართულე, ყველასთან ტკბილათ მოუბარი, ყოვლად უანგარო, ღარიბთ დამხმარე, ჩაგრულთ მოსარჩლე და გულშემატიკვარი. ყველას უყვარდი და ყველანი გეტრფოდენ განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, და ეხლა როდესაც ეს სამწუხარო ამბავი გახმაურდება, ყოველი ქართველი შეშფოთდება, განსა-

საისტორიო ლექსები, ანდაზები და გამოცანები, ზღაპრები და არაკები... ამ ნაწილშიც მოთავსებულია საძველო სიტყვების ახსნა-განმარტება.

ნათქვამიდან სჩანს, რომ ს. რ. გორგაძის სახელმძღვანელო ქრისტომატიასა და მეთოდზე აშენებული და მისი მასალის შემადგენლობა და შერჩევა აღნიშნავს განმარტებითურთ შეფერება დიდაქტიკის არსებითს მოთხოვნილებათ. ამ წიგნის მეოხებით ქართველი მოწაფე ნათლად წარმოიდგენს და შეიგნებს ძველ ქართულ მწერლობის სიდიადეს როგორც შინაარსის, ისე ენის მხრით და გაიშკვავლება მშობლიური მეტყველების მიმართ ღრმა სიყვარულით. წიგნის შემდგენელი ნიჭიერი, სწავლის მკოდნე, ფხიზელი და ფრთხილი მუშაკია. თხუთმეტი წლის განმავლობაში აწავლის ქართულ ენას საშუალო სასწავლებლებში. საკუთარმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ შეამუშავებინა ის გეგმა, რომლის თანახმადაა დადგენილი შესასწავლი მასალა. მისი წიგნი ფრად სასარგებლო სახელმძღვანელო დარჩება იმ სასწავლებლებში, სადაც ქართულს ასწავლიან: გიმნაზიებსა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებლებსა და სასულიერო სემინარიებში. თქმა არ უნდა, რომ ქართული ენის მასწავლებლები დიდის სიხარულით შეზღ-

კუთრებით კი რაქა-ლენხუმი და შორეული სვანეთი. დილი! აქ ჩვენ დაგვტოვე და მომტოვენი, გულ მწუხარნი, იქ კი სიხარულით დაგხვდებიან სიყრმით შეძქრული შვილები, შენებრ მოძმეთათვის თავდადებული და მათთვისვე წამებული შენი შამშე, ასლან ერისთავი და სხვანი. სიხარულით შეგეყრებიან და გულში ჩაგიკრავენ. შენ დიდებულს, უეჭველია, იქაც დიდი ადგილი გელის, მაგრამ ისიც სწორია, რომ უშენობა აქ დიდათ მოაკლდება უმეტესობას!

მშვილობით! ნუ დაჰკარგოს ღმერთმა შენი სახელი ჩვენს შორის. ღმერთმა ჰქნას, რომ კიდევ გაჩენოდეს ჩვენს ხალხს, შენებრ გულშემატიკვარი ადამიანი! **მასწ. ვახილ ლორთქიფანიძე.**

**ახალი ამბავი.**  
ჭუთაისი.

შაბათს, 14 აგვისტოს, ქუთაისიდან დიდი ამბით ლენხუმი დასაკრძალავათ წაასვენეს ლენხუმის მარხის თავდაღანაურთა წინამძღოლი თავ. იასონ დავითის-ძე გელაგანის ნეშტი. წირვის შემდეგ გადაიხადეს პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოვლადსამღვდელო გიორგიმ. ცხედარს წინ მიუძღოდა 20 გვირგვინი. მიცვალებული ფერმამდის გააცილეს. ქუთაისის გუბერნატორმა, ვიცე-გუბერნატორმა, ქუთ. გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიქარაძემ, ყველა მარხის მარშლებმა, სახაზინო პალატის უფროსმა სობრეიესკიმ. გამოსვენებას დაესწრნ აგრეთვე ყველა კულტურული დაწესებულებათა წარმომადგენლები და დიდძალი საზოგადოება. ფერმის მახლობლათ სიტყვები წარმოსთქვეს დეკ. ი. აბესაძემ და დავით ქებაძემ.

◆ საქართველოს ეგზარქოსმა პიტრიმმა თავ. გელაგანის დაკრძალვაზე ჩამოუსვლელობის მიზეზად შემდეგი დებეში გამოგზავნა. **„კიდევ უბედურება, კიდევ მწუხარება.**

დებიან ს. რ. გორგაძის წიგნსა... მისი გასავალი მოწაფეთა შორის მკვს გარეშეა. გვეჯერა, რომ წიგნი ღირსეულათ დაფასდება, რადგან მეტათ საგრძნობი იყო მისი მსგავსი სახელმძღვანელოს უქონლობა, რის მეოხებით ჩვენს სასწავლებლებში ძველ ქართულ მწერლობას აქამდე გვერდს უხვევდენ, ხოლო ზოგან კი მარტო „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ თავებს აცნობებდენ მოსწავლე ახალგაზრდობას. **მასწავლებელი.**

**ელეგია.**

ჩამავალი მზის მიზნედილ სხივებს გადაეფარა ნისლის სამარე; შესწყდა ზემი მიზნედავ ბუნების, დლით დაქანცული სღუმე; არე-მარე...

დაღამდა... ლურჯი ცის ოკეანე მკრთალ ვარსკვლევებით შემოქირგულა; შორს, თვალუწვდენელ ლაფვარდ სივრცეში დინჯათ დსკურავს ღრუბლების ქულა.

სღუმს არე-მმრე, სძინავს ბუნებას, — ძინავს ყვავილებს, ბალახებს, ფოთოლს, შევეყრებ მხარეს დაბეჩავებულს და მწარ ოცნების ვაშენებ გოდოლს. **სიმ. წიველი.**



გიერთებთ ჩემს ღრმა მწუხარებას. ვსტირი საქართველოსთან ერთად ერგული შვილის დაკარგვისათვის. ვწუხვარ, რომ, ავადმყოფობისა გამო, ვერ მოვდივარ. მუხლს ვიყრი განსვენებულის თავადის იასონ დავითის ძის გელოვანის ძვირფასი ცხედრის წინაშე.

◆ სანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქუთაისში განდიდებული კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი ვლადიმერ ასტრუხოვი.

◆ 16 აგვისტოს საურთიერო ნდობის საზოგადოების ბანკის დარბაზში მოხდა კომერციული კოდანთა გამაგრებელი საზოგადოების წლიური კრება. კრება გახსნა კომიტეტის თავჯდომარე რ. ყ. დათეშიძემ. კრების გახსნამდის საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურისა და იასონ გელოვანის ხსოვნას. შემდეგ თავჯდომარეთ აირჩიეს ქალაქის გამგეობის წევრი პ. ი. მოსიძე.

კრებამ მიიღო 53 ახალი წევრი რომელნიც კოდეც დაამტკიცა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების 1914 და 1915 წ. ანგარიშები.

სამხრუნველო კომიტეტის თავჯდომარეთ აირჩიეს რ. ყ. დათეშიძე მის ამხანაგათ. ს. ე. ეზიკაშვილი, წევრებათ: ტ. ჯაფარიძე, პ. ი. მოსიძე, ტ. მარგველაშვილი, ბ. რაფაელოვი, ნ. ბარაბაძე, პ. ი. გოკიელი, ა. ი. ელიგულაშვილი, ი. ი. პურადაშვილი, ვ. ჯ. წერეთელი, და ა. პ. გრიგოლაშვილი.

სარევიზო კომისიაში აირჩიეს: ბ. ნ. პ. ზუნაძე, ვუკ. ბერიძე და თ. მთავრიშვილი.

სასწავლებელი მომავალი სექტემბრიდან გაიხსნება. საზოგადოებამ დაადგინა დიდი მადლობა გამოცხადოს გიორგი ზდანოვიჩი, დ. ა. ნაზაროვს, სახელმწიფო საბჭოს წევრს ანდრია ერისთავს და ბ. რეცკის, მათი შრომისათვის წესდების დამტკიცებაში.

◆ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით სამუდამოთ დამტკიცდა, რომ ამიერკავკასიიდან გასული წითელ ბილეთიანები პირველ ხარისხის მოლაშქრენი. ასეთი ახალგაზდების ქუთაისში გაწვევის დღეთ დანიშნულია სამშაბათი, 18 აგვისტო. გაწვეულნი იქნებიან ისინი, ვისაც ასეთი ბილეთები სამხედრო საკრებულოსაგან მიეცათ 1909—1916 წლამდის. გამოცხადების დროს მათ ან უნდა ჰქონდეთ წითელი ბილეთები ან მოწმობა ვინაობაზე. შედგაათები არავის არ მიეცემათ.

◆ როგორც სოფლებიდან გვწერენ, წელს ყანებს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. სიმინდი ძლიერ დაბალია და ტაროც არ გაუკეთებია. შიმშილობა მომავალი წლისათვის აუცილებელია. ვაზებზეც ერთიანთ წამხდარა.

◆ სამხედრო საკრებულოს უფროსი აცხადებს, რომ იმ მოქალაქეთ, რომელნიც მიღებულნი იქნებიან და სამხედრო სამსახურში გამოსადეგ ტანთ-საცმელს მოიტანენ, განსაზღვრული ფული მიეცემათ.

◆ 8 აგვისტოდან 16 აგვისტომდის რუსეთის ქაჯაქებიან ქუთაისში შემოვიდა შემდეგი სანაგავი: ჭურის ფეკეაი 36 ფაგანი, ქატო 7 ფაგ., შაქარი 1 ფაგ., ქვანახშირი 3 ფაგ., შუშა 11 ფაგანი. მარილი 2 ფაგ., ხავთა 4 ფაგანი, თევზ 7 ფაგ., სიმინდი 23 ფაგანი და 5 ფაგ. სხვა და სხვა საქონელი.

### ახალ ადგილზე.

(სტეფანე დავითის ძის პატ. გავუას ახალ თანამდებობაზე დანიშნვის გამო)

პირველ დაწყებითი სკოლა განათლების საფუძვლია, ამისათვის დასაწყისი სკოლების მართვა გამგეობა, მათი პროგრამების განსახორციელებლათ, პედაგოგის მოვალეობის პირნათლათ შესასრულებლათ, უხვი გონებრივი საგზლით და პედაგოგიური ნიჭით აღჭურვილი ადამიანი არის საჭირო. დიხს ბედნიერია ის ერი, რომელსაც მათი სკოლების მტკიცე საძირკვლის აღსაშენებლათ გამგეობა არ გუნებს აგეთ თვისებით აღჭურვილს და მრავალმხრივ გამოცდილ ადამიანს, ბედნიერია მისთვის, რომ მასზე არის დამყარებული სკოლების ფეხზე დაყენება, ახალთაობის აღზრდა და ხალხის გონებრივთ წინაშეწოდება. სწორეთ აგეთი ბედი არ გუნა ამ დღეებში განგებამ სამეგრელოს სკოლებს. კავკასის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით მეოთხე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორათ დანიშნა ქუთაისის პირველ დაწყებითი მაღალი სასწავლებლის ინსპექტორი სტეფანე დავითის ძე ბ. გავუა. ეს უკანასკნელი მრავალ ხნრივ გამოცდილებით და სრულის მომზადებით განაგრძობს პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას აგერ თითქმის ოცდა თხუთმეტი წელიწადია.

ჯერ სოფლის ორკლასიან სკოლის მასწავლებლათ, შემდეგ იმავე სკოლის ზედამხედველათ, სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლათ, იმავე სასწავლებლის ინსპექტორათ და შემდეგ უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ასრულებდა ქუთაისის პირველ სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის და სასწავლებელთან დაარსებულ ორკლასიან პედაგოგიურ კურსების ხელმძღვანელის თანამდებობას. ამ ცხრა წლის განმავლობაში ყოველ წლობით თვრამეტს თუ ოცს მშენებრათ გაწვრთნილ მასწავლებლებს უზგზავნიდა სახალხო სკოლებს. ბ. გავუა ყოველ სამოსწავლო წლის დასაწყისში სამოქალაქო სასწავლებლის პირველ კლასში თვითონვე ინიშნებოდა მასწავლებლათ და დამრიგებლადაც, სადაც აღღვედა სანიშნუო გაკვეთილებს მსმენელთა სავარჯიშოთ. ამითაც არ კმაყოფილდებოდა. იწვევდა ქუთაისის ქალაქა შშ. ნინოს სასწავლებლის და მთავრობის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე ქალებს. უკითხავდა მათ თავისივე შედგენილ კონსპექტებს, აძღვედა სანიშნუო გაკვეთილებს დასწრებდა მათ გაკვეთილის გარჩევანზე ესე იგი იმისთვის იქცოდა, რომ ხედავდა სრულ სიღარიბეს ნამდვილ მომზადებულ სახალხო სკოლების მასწავლებლებისას. იგი მუდამ ცდილობდა სამოსწავლო წლის დასაწყისში, რაც შეეძლება ზედმეტი გაკვეთილები აეღო მიუხედავთ იმისა, რომ მას შეეძლო ცოტა გაკვეთილების აღება, ვინაიდან იგი იყო სასწავლებლის სხვა და სხვა საქმით დატვირთული. თუ რომლიმე მასწავლებელი პატივსადებ მიზეზების გამო გაკვეთილს გაუშვებდი იგი მზათ იყო ემუშავნა მის მაგიერ და სხვა ამხანაგები არ შეეწუხებია. ამ ცხრა წლის განმავლობაში მან შესძლო სასწავლებლის განთავისუფლება თორმეტი ათასი მანეთის ვალისაგან და სამი ათას მანეთამდის სასწავლებლის თანხას შედგენა (სწავლის ფასის აუწყველათ).

აი ამისთანა დაუღალავო მშრომელი ადამიანი არ გუნა ბედმა მმართველათ ძველი კოლხიდის ერის სკოლებს. იგი დიდი შვილია იმ ერისა, ერი იცნობს მას და ერს იცნობს იგი. შესისხლ-ხორცებულა აქვს მისი ზნე ჩვეულება და სულისკვთება, ეკვი არ არის ეს ენერგიით სავსე ადამიანი არ იქნება ფორძალური აღმასრულებელი თვისი თანამდებობისა, არამედ აღმაშენებელი სახალხო სკოლების მტკიცე საფუძველისა.

მღ. ი. ცქიტიშვილი.

### წერილი აბასთუმნიდან. (აბასთუმნის საღამო)

აბასთუმანი მშვენიერს, ბუნებით დაჯილდოვებულ, კურორტს წარმოადგენს. ამ კურორტის სიმშვენიერით არა ერთი უცხოელი პროფესორები მოსულან განცვიფრებაში. კურორტი მდიდარია სამკურნალო ჰაერით, რომლის ზეგავლენითაც არა ერთი სიკვდილზე მიმდგარი ავთამყოფი მობრუნებულა და მორჩენილა. აბასთუმანს ეს მნიშვნელობა არ დაუკარგავს და არც დაკარგავს არა დროს. ყოველ ზაფხულს აქ ბევრი ავთამყოფი ჩამოდის, რომელნიც ხშირად აბასთუმნის უხვი ჰაერით საღებობან და ჯანით ავსილნი ისევ ბრუნდებიან შინ. ხშირად ხდებოდა, რომ ჩამოსული მოაგარაკენი დასადგომ ბინას ვერ შოულობდენ და გულდაწყვეტილი ისევ უკან ბრუნდებოდენ. მაგრამ რაც დრო გადის, აბასთუმანს, მიუხედავთ მისი სიმშვენიერისა და სალი ჰაერისა, მოაგარაკენი თანდათან აკლდებიან.

ამის ერთ მიზეზათ ისუნდაჩითვალოს, რომ აბასთუმანი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, სიბინძურე და უსუფთაობა აქ ძლიერ დიდია, რომელსაც არავითარ ყურადღებას არ აქცევს აქაური აბასთუმნის გამგეობა. ორი წლის წინათ აქ გზების თავისუფალ ადგილებზე შეხვდებოდი მშვენიერათ გაშენებულ ბაღებს, რომელნიც ქუჩებში საამო სუნს აყენებდა; მაგრამ ახლა ეს ყველა გაპარტახებულია საქონლისაგან, რომელთა შეპატრონნიც არავის შენიშვნას ყურს არ უგდებენ და თავისუფლად ჩადიან ისეთ საქმეს, რომელიც ხელს უწყობს კურორტის სიბინძურეს. მკირე მიზეზათ, უნდა ჩაითვალოს სანოვაცისა და ბინის სიძვირე. ფასების მომატება სანოვაცესა და ბინაზე სისტემატიურად ხდებდა. მაგალითათ: 1910 წ. ერთი მოზლილი ოთახი თავის მოწყობილობით მთელ სეზონს (სეზონი ენკენისთვის ბოლომდე) ღირდა 40 მან., 1911 წ. იმავე ოთახს, იმავე მოწყობილობით აქირავებს სახლის პატრონი 60 მან., 1912 წ.—70 მანეთად, მხოლოდ 1914 წ. ეს ოთხი ქირავდება 100 მანეთად, ასე სისტემატიურად იწვეს „როზნაში“ სადილის ფასიც. 1910 წ. „როზნაში“ სადილი ღირდა 12 მანეთი; 1913 წელს—15 მანეთი, 1914 წ.—17 მან.; 1915 წ. სადილი მეორე რომაში ღირს 18 მან., პირველ „როზნაში“ კი 20 მან. ამგვარად აბასთუმანში ცხოვრება თანდათან ძვირდება, რომელიც უსპობს საშუალებას ავთამყოფებს აქ ჩამოვიდენ და ისარგებლონ სამკურნალო ჰაერით.

წელს აბასთუმანში მოაგარაკენი ცო-

ტანი ჩამოვიდენ. ბევრი სახლი ცარეული დარჩა, მაგრამ, მიუხედავთ ამისა, ბევრ ველ ხანებში სახლები უსახუროდ დარჩა, რადგანაც სახლის პატრონებმა რაღაც ზღაპრული წარმოდგენა ქონდათ იმის გამო, რომ აბასთუმანი დაჭრილ სახელო პირების კურორტად გადაქცევა, რომლისთვისაც საქარო სახლებს ჩვენი დიდი დაიქირავებნო. მაგრამ ეს იმელები მალე გაუტრუველათ და სახლებს ფასისეგ დაუწიეს. მთელი ავარაკი თითქმის სომხების ხელშია.

ადგილობრივი მცხოვრებლები თითქმის სულ სომხები არიან. ქართველებიც არიან რამოდენიმე მოსახლე. მოაგარაკენი ყოველ წელს უფრო ქართველები არიან.

წელს აქ მოაგარაკე ქართველები შეიკრიბენ და გადასწყვიტეს საღამოს გამართვა, რომლის წმინდა შემოსავალიც დაზარალებულ მოძმე აქარლების სასარგებლოდ უნდა გადადებულიყო. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა საღამოს მოწყობა.

კომისია არჩევსათანავე შეუდგა მუშაობას. მიუხედავთ ბევრი დაბრკოლებისა, 4 აგვისტოს არტისტ ყიფიანის ხელმძღვანელობით პროფეტორ „დელი ჰალასში“ მოაწყო საღამო. საღამოს თითქმის მთელი მოაგარაკე ქართველობა და მუსულმანები დაესწრენ. სომხებმა დემონსტრაციულად ბოიკოტი გამოუცხადეს ჩვენ საღამოს; „აქარლები მოღალატენი არიანო—ამბობდენ, მათ სასარგებლოდ საღამოს, როგორ მართავთო.“\*) საღამო შინაარსიანი იყო, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში წარმოადგენილ იქნა რუსული კომედია „ИЗЪ-ЗА МЫШЕНКА“. მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს ქართული კომედია „მონადირე“—ე. გუნიასი. მე სამე განყოფილება იყო მუსიკალური სკრიპკაზე დაუკრა არჩილ კოკიაშვილი. არტისტ ყიფიანმა წაიკითხა რუსულენაზე სცენები, რომელმაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. საერთოდ საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე და კმ. სტეფილიც დაიშალენ. საღამოდან შემრიგდა სულ 197 მ. და 10 მ. ხარჯს გარდა დარჩა 138 მან. 3 კაპ., რომელიც გაუგზავნეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციას გადასაცემად ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის.

დიდი მადლობის ღირსი არიან ის პირნი, რომელნიც დაგვეხმარენ საღამოს მოწყობაში.

სტულ. აკაკი კოსტავა.

### ჩ მ ე წ ი ზ ო ს ტ ა.

ზედა ხუნცა. სილოვან ძიძიგურს. გამოგზავნეთ. თუ იქარგებს, დაგვექცადეთ, წყალში თევზი და ჰაერში ფრინველი არავის დაუფასებია.

\*) ნუ თუ აბასთუმანში სომხებმა დღემდე ვერ შეიგნეს, რომ აქარლები მსხვერპლი გახდენ სხვისი ღალატისა! აქარლების უდანაშაულობა მთელმა რუსულმა და ქართულმა პრესამ დამტკიცებულ ფაქტთა აღიარა, მაგრამ, როგორც სჩანს, აბასთუმნელი სომხები იმდენათ დაბრმავებულები ყოფილან, რომ ამის შეგნება მათ არ შეეძლებათ.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე